



## CT7

### UNIVERSAL

#### მრავალ-ფუნქციური დანიშნულების პრაიმერი

ზედაპირის დაგრუნტვა მანამ, სანამ განხორციელდება: კერამიკული ფილების და თბოსაიზოლაციო პანელების დამაგრება, შეღებვა, შპალერის გაკვრა, შევსება

#### მახასიათებლები

ამცირებს სუბსტრატის მიერ შთანთქმის დონეს

აუმჯობესებს ადჰეზიას სუბსტრატებთან

კედლებს აძლევს "სუნთქვის" საშუალებას

ხელს უწყობს შემდგომი ფენების დატანას - მაგ. ადჰეზივები, საფითხი,

საღებავები



#### გამოყენების ფარგლები

Ceresit CT7 წარმოადგენს დაგრუნტვის საშუალებას მშთანთქმელი სუბსტრატებისთვის, როგორცაა ბეტონი, ტრადიციული ცემენტის და ცემენტ-კირის ბათქაში, უჯრედული ბეტონი. CT7-ის გამოყენება განსაკუთრებით რეკომენდებულია თაბაშირისა და გაზო-ბეტონის სუბსტრატებისთვის. იგი ასევე შესაფერისია გაუჯერებელი თაბაშირ-მუყაოს დასამაგრებლად. Ceresit CT7 შეიძლება გამოყენებულ იქნას შენობების შიგნით და გარეთ, მაგ. კერამიკული ფილების დამაგრებამდე, შევსებამდე, შეღებვამდე, შპალერის გაკვრამდე ან თბოიზოლაციის პანელების დამაგრებამდე. საგრუნტი საშუალება არ შეიცავს გამხსნელს. CT7-ით დამუშავებული სუბსტრატები ნაკლებად შთანთქმელია, რაც ხელს უშლის წებოვანი ხსნარების, ხსნარუს ან საღებავების ძალიან სწრაფად გამრობას. პროდუქტი აღწევს სუბსტრატში და აკავშირებს აგრეგატის მარცვლებს, მაგრამ არ ზრდის სიმყარის პარამეტრებს

სუბსტრატის მთელ განივ მონაკვეთზე. Ceresit CT 16 ან CT 15 საგრუნტი საშუალება გამოიყენება სუბსტრატების დაგრუნტვისთვის ბატქაშის თხელი ფენის ქვეშ.

### **ზედაპირის მომზადება**

CT 7-ით მოსამზადებელი სუბსტრატები უნდა იყოს მშრალი, მდგრადი და თავისუფალი ნივთიერებებისგან, რომლებიც ამცირებენ ადჰეზიას: ცხიმი, ბიტუმი, მტვერი და ა.შ. ჭუჭყიანი და არაჯეროვანი სიმყარის ფენები უნდა მოიხსნას. აღნიშნული ასევე ეხება არსებულ წებოვან საღებავებს, რომლებიც უნდა გაიფხიკოს და ჩამოირეცხოს წყლით. თაბაშირის სუბსტრატები და ძლიერი საღებავისთ დაფარული საფარები უნდა გაიხეხოს უხეში ქაღალდით და კარგად გაიწმინდოს მტვერსასრუტით. წყალმცენარეების ზრდისა და ობის ადგილებში გამოიყენეთ Ceresit CT 99 ფუნგიციდი ტექნიკური მონაცემების მიხედვით.

### **გამოყენება**

რამდენჯერმე შეანჯღრეთ კონტეინერის შიგთავსი. დაიტანეთ პროდუქტი სუბსტრატზე ფუნჯით ან გორგოლაჭით. CT 7 შრება დაახლ. 2 საათი. თუ სუბსტრატი ინარჩუნებს შთანთქმის უნარს პრეპარატის გამრობის შემდეგაც, დაგრუნტვის ოპერაცია უნდა განმეორდეს.

გარეცხეთ ხელსაწყოები და გაწმინდეთ ახლად წარმოქმნილი შხეფები წყლით.

### **გაფრთხილება**

სამუშაოები უნდა შესრულდეს გარემოსა და სუბსტრატის +5°C-დან +25°C-მდე ტემპერატურის და ჰაერის 80%-ზე დაბალი ტენიანობის პირობებში. თვალეზთან კონტაქტის შემთხვევაში კარგად ჩამოიბანეთ დიდი რაოდენობით წყლით და მიმართეთ ექიმს.

### **შენახვა**

დამზადების დღიდან 12 თვემდე, თუ იგი ინახება გრილ და მშრალ ადგილას თავდაპირველ დაუზიანებელ შეფუთვაში.

დაიცავით ყინვისგან!

### **შეფუთვა**

5ლ და 1ლ ქილა

### **ტექნიკური მონაცემები**

ბაზა: სინთეტიკური ფისოვანი წყალხსნარი

სიმკვრივე: დაახლ. 1.0 კგ/დმ<sup>3</sup>

გამოყენების ტემპერატურა: +5°C-დან +25°C-მდე

გაშრობის დრო: დაახლ. 2 საათი, დამოკიდებულია სუბსტრატის შთანთქმის უნარსა და თერმულ/ტენიანობის პირობებზე

ცვეთა: 0,1-დან 0,5ლ/მ<sup>2</sup>-მდე, სუბსტრატის ერთგვაროვნების და შთანთქმის უნარის მიხედვით

შეგიძლიათ ნებისმიერი ტექნიკური რჩევა მიიღოთ ტელეფონით:

+48 800 120 241

+48 41 3710124.

გარდა აქ მოცემული ინფორმაციისა, ასევე მნიშვნელოვანია დაიცვათ სხვადასხვა ორგანიზაციებისა და სავაჭრო ასოციაციების შესაბამისი სახელმძღვანელო მითითებები და რეგულაციები, აგრეთვე, გერმანიის სტანდარტების ინსტიტუტის (DIN) შესაბამისი სტანდარტები. ზემოაღნიშნული მახასიათებლები ეყრდნობა პრაქტიკულ გამოცდილებას და გამოყენებით ტესტირებას. გარანტირებული თვისებები და შესაძლო გამოყენება, რომელიც სცილდება ამ საინფორმაციო ფურცელში მითითებულ გარანტიებს, მოითხოვს ჩვენს წერილობით დადასტურებას. ყველა მოცემული მონაცემი მიღებულ იქნა გარემოსა და მასალის +23°C ტემპერატურისა და 50% ჰაერის ფარდობითი ტენიანობის პირობებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სხვა კლიმატურ პირობებში გამკვრივება შეიძლება დაჩქარდეს ან შეფერხდეს.

აქ მოცემული ინფორმაცია, კერძოდ, რეკომენდაციები ჩვენი პროდუქციის დამუშავებისა და გამოყენების შესახებ, ეყრდნობა ჩვენს პროფესიულ გამოცდილებას. ვინაიდან მასალები და პირობები შეიძლება განსხვავდებოდეს თითოეული სავარაუდო გამოყენების მიხედვით და, შესაბამისად, აღნიშნული სცდება ჩვენი გავლენის სფეროს, ჩვენ დაბეჯითებით გირჩევთ, რომ თითოეულ შემთხვევაში ჩაატაროთ სათანადო ტესტები, რათა შეამოწმოს ჩვენი პროდუქტების ვარგისიანობა მათი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად. იურიდიული პასუხისმგებლობა არ შეიძლება დადგეს ამ მონაცემთა ფურცლის შინაარსის ან რაიმე სიტყვიერი რჩევის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ჩვენი მხრიდან ადგილი არ ექნება განზრახ არამართლობიერ ქმედებას ან უხეშ დაუდევრობას. ტექნიკური მონაცემების ეს ფურცელი ანაცვლებს ამ პროდუქტთან დაკავშირებულ ყველა წინამორბედ გამოცემას.

